



## ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება №3091.11.07

### 1. ფაქტები

2007 წლის 23 აპრილს ადვოკატმა კ.ი.-მ პირადად მიმართა ორგანიზაციას და ითხოვა სამსახურიდან გათავისუფლება. განცხადების თანახმად იგი აღარ გამოცხადდებოდა 16 მაისს გორის სასამართლოში გამართულ პროცესზე. 2007 წლის 16 აპრილის მდგომარეობით დამფუძნებელმა შეუწყვიტა მას 2005 წლის 20 ოქტომბერს გაცემული მინდობილობა. 2007 წლის 1 მაისიდან ადვოკატი გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან. ადვოკატი მაინც გამოცხადდა გორის სასამართლოში და საქმე მორიგებით დაასრულა, რითაც ორგანიზაციას 18 ათასი აშშ დოლარის ზიანი მიადგა. მას არ ჰქონდა უფლებამოსილება წარმოედგინა ორგანიზაცია და მორიგებით დაესრულებინა საქმე

### 2. პროცესუალური ისტორია

2007 წლის 4 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მოქალაქე ლ.კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ კ.ი.-სათვის საადვოკატო საქმიანობის აკრძალვა. საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-2, მე-3 და მე-5 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლითა და „დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-9 მუხლით, აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ კ.ი.ს მიმართ.

### 3. სამართლებრივი ანალიზი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეების ახსნა-განმარტება და თვლის, რომ ადვოკატ კ.ი.ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი - ნდობის პრინციპი, ასევე მე-8 მუხლის მეორე პუნქტი, რომლის მიხედვითაც „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით“. ადვოკატ კ.ი.ს მიმართ სახდელის სახით გამოყენებულ იქნა გაფრთხილება.

დაირღვა თუ არა ადვოკატის მიერ ნდობის პრინციპი? (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-3 მუხლი).

განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა თავისი ქმედებით ეჭვის ქვეშ დააყენა მისადმი კლიენტის ნდობა. დაუშვებელია ადვოკატმა გამოიყენოს მის მიმართ გამოხატული ნდობა და მორიგება გააფორმოს თავისი კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ, თუნდაც მორიგების უფლების შესახებ აღნიშნული იყოს მის მოქმედ რწმუნებაში. ადვოკატის მიერ დარღვეულია ნდობის პრინციპი.

დაირღვა თუ არა ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეორე პუნქტი - „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით“.

ადვოკატმა უგულებელყო კლიენტის ნება და მორიგება გააფორმა კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ, რაც დასტურდება კლიენტის მიერ დადებული მორიგების გასაჩივრების ფაქტით და სააპელაციო სასამართლოს მიერ მორიგების გაუქმებით. ამავდროულად დამტკიცებულია, რომ ორგანიზაციას ამ მორიგებით მიადგა 18 ათასი აშშ დოლარის ზიანი. ადვოკატის მიერ დარღვეულია აღნიშნული ვალდებულება.

© ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი  
იურიდიული ეთიკის მიმართულება  
© მიხეილ რეხვიაშვილი



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION  
UNIVERSITY**

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

ადვოკატ კ.ი.ს მიმართ გამოყენებულ იქნა სახდელის სახით გაფრთხილება.